სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესისა და შეფასების ინსტრუქცია

მაგისტრის საკვალიფიკაციო ნაშრომი წარმოადგენს საუნივერსიტეტო მოთხოვნათა მიხედვით შესრულებული სამუშაოების წერილობით აღწერას; იგი უნდა ასახავდეს კურსდამთავრებულის უნარს სპეციალიზაციის სფეროში დამოუკიდებლად ჩაატაროს სამეცნიერო კვლევითი, საპროექტო ან სხვა სახის სამუშაოები მაღალ დონეზე. საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვისას მაგისტრანტმა უნდა გამოამჟღავნოს მოხსენების მომზადების და დისკუსიაში მონაწილეობის უნარი.

სამაგისტრო ნაშრომი მაგისტრანტის მიერ დამოუკიდებელი კვლევის განხორციელების შედეგია. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისათვის გათვალისწინებული კრედიტები განსაზღვრულია შესაბამის პროგრამით.

1. მოთხოვნები სამაგისტრო ნაშრომის შესასრულებლად

1.1 სამაგისტრო ნაშრომის თემას განსაზღვრავენ მაგისტრანტი და ხელმძღვანელი ურთიერთშეთანხმებით თემატიკის შესაბამისად;
1.2 შერჩეული თემა უნდა ეხებოდეს აქტუალურ, მაგრამ არა ძალიან ფართო პრობლემას, რომლის ანალიზისას მაგისტრანტმა უნდა შეძლოს აჩვენოს, რომ ჩაატარა დამოუკიდებელი კვლევა სპეციალიზაციის სფეროში ან შეასრულა არსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ნაწილი, შეაგროვა სამეცნიერო ინფორმაცია, გაიღრმავა სპეციალიზებული ცოდნა და მას შეუძლია თეორიული ცოდნისა და კვლევის მონაცემების ერთმანეთთან დაკავშირება;
1.3 სამაგისტრო ნაშრომის თემის შეცვლა შეიძლება მხოლოდ ერთხელ და ისიც ბოლო სემესტრის დაწყებამდე, შესაბამისი განაცხადის საფუძველზე;
1.4 სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 100 გვერდს, A4 ფორმატზე, ცალ გვერდზე ნაბეჭდი, გაფორმებული წარმოდგენილი ინსტრუქციის შესაბამისად. რაოდენობაში იგულისხმება ყველა აკინძული გვერდი. საილუსტრაციო მასალები შეიძლება გადატანილი იქნას დანართში, ნაშრომის ბოლოს და ასეთ შემთხვევაში ფურცლების რაოდენობაში არ ჩაითვლება;
1.5 სამაგისტრო ნაშრომის გვერდები ინომრება არაბული ციფრებით, ფურცლის ქვედა მარჯვენა კუთხეში. სატიტულო ფურცელი არ ჩაითვლება გვერდების რაოდენობაში და არ ინომრება;
1.6 ნაშრომი იბეჭდება შემდეგი პარამეტრების დაცვით: ფონტი – Sylfaen, შრიფტი, ზომა 12, სათაურებისა და ქვესათაურების ზომა - 16, სტრიქონებს შორის ინტერვალი - 1,5; აბზაცი - 5 ინტერვალი. მინდვრები: მარცხნიდან – 3,0; მარჯვნიდან – 1,5; ზემოდან და ქვემოდან – 2,0 სმ;
1.7 სამაგისტრო ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე, ორთოგრაფიული ნორმების დაცვით;
1.7.1 სამაგისტრო ნაშრომის თემის თავისებურებიდან გამომდინარე, დასაშვებია სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება უცხოურ ენაზე სამეცნიერო ხელმძღვანელთან და

მიმართულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით. უცხო ენაზე წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომს უნდა ახლდეს ვრცელი (არანაკლებ 3 გვერდისა) ქართულენოვანი ანოტაცია;

1.8 სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურაში გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი კომპონენტები:

- თავფურცელი - სამაგისტრო ნაშრომის პირველი გვერდი (დანართი 1);
- ანოტაცია - უნდა ასახავდეს სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურას, თემის აქტუალობას მიზნებს, ძირითად შედეგებს და მოკლე დასკვნას;
- სარჩევი - ასახავს ნაშრომის სრული ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტ დასახელებას თანმიმდევრულად მათი გვერდების ნომრის მითითებით;
- შესავალი – ნაშრომის ზოგადი ნაწილია, რომელშიც უნდა აისახოს არჩეული თემის აქტუალობის დასაბუთება, მიზნები და დასმული ამოცანა (ამოცანები); საკვლევი საგანი და გამოყენებული მეთოდები (ექსპერიმენტული კვლევის შემთხვევაში); პრობლემის კვლევის ისტორია; შედარებით ანალიზს;
- ტექსტის ძირითადი ნაწილი – შეიძლება დაიყოს თავებად და პარაგრაფებად; ასახული უნდა იყოს:

1) ლიტერატურის მიმოხილვა (არ უნდა აღემატებოდეს საერთო მოცულობის 1/3-ს);
2) მეთოდები;
3) კვლევის შედეგები და მათი განხილვა;

- დასკვნა - უნდა ასახავდეს სამაგისტრო ნაშრომის შედეგებს, მათ მნიშვნელობას და პრაქტიკულ ღირებულებას და გამოყენების პერსპექტივებს.
- გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა - წარმოდგენილი უნდა იქნეს ნაშრომის ბოლოს ტექსტში წყაროების გამოყენების ქრონოლოგიის მიხედვით. მითითებული უნდა იყოს ჯერ წყაროს ავტორი, შემდეგ, წყაროს სათაური, შემდეგ ტომის (წიგნის) ნომერი, გვერდების ნომერი, შემდეგ გამოცემის ქალაქი, გამომცემლობის სახელი, გამოცემის წელი;
- დანართი

1.9 ნაშრომში დაუშვებელია სხვათა მოსაზრებების, ფრაზებისა და წინადადებების, სტატისტიკური მონაცემების, კვლევის შედეგების გამოყენება არასათანადო წესებით (ნაბეჭდი ან ელექტრონული წყაროს მითითების გარეშე); პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება დაცვაზე, ან იხსნება დაცვიდან, რაც ფორმდება, როგორც უარყოფითი შეფასება;

1.10 დასრულებული სამაგისტრო ნაშრომი იბეჭდება ერთ ეგზემპლიარად და იკინძება;

1.11 ნაშრომის ერთი ეგზემპლარი და ელექტრონული ვერსია (CD), დაცვის შემდეგ, უნდა ჩაბარდეს ბიბლიოთეკაში არქივირების მიზნით.

2. ნაშრომის ხელმძღვანელი

2.1 მაგისტრანტისთვის ნაშრომის ხელმძღვანელი უნდა შეირჩეს მაგისტრატურაში სწავლის არაუგვიანეს მესამე (მეცხრე)* სემესტრის დასაწყისისა;

2.2 ნაშრომის ხელმძღვანელს ირჩევს სტუდენტი, მიმართულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით;

*აღნიშნული მონაცემი განკუთვნილია ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამისთვის

2.3 სამაგისტრო ნაშრომის თემის სათაურისა და ხელმძღვანელის არჩევის შესახებ მაგისტრანტი წერილობით მიმართავს შესაბამისი მიმართულების ხელმძღვანელს და მაგისტრატურის კოორდინატორს;
2.4 თუ კვლევა მოიცავს ორ განსხვავებულ სფეროს ან კველევა ტარდება ორ სხვადასხვა ორგანზიაციაში, მაგისტრანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი ხელმძღვანელი;
2.5 ხელმძღვანელი შეიძლება იყოს აგრარული უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორი) და დოქტორანტი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი, მოწვეული სპეციალისტი, რომელსაც აქვს შესაბამის სფეროში კვლევის გამოცდილება;
2.6 ხელმძღვანელს უფლება აქვს უარი თქვას კონკრეტული ნაშრომის ხელმძღვანელობაზე, როგორც მუშაობის დაწყებამდე, ისე მუშაობის პროცესში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მან გონივრულ ვადაში, სათანადო არგუმენტაციით წერილობით, უნდა მიმართოს მიმართულების ხელმძღვანელს;
2.7 ნაშრომის ხელმძღვანელი ეხმარება სტუდენტს თემის შერჩევაში, გეგმის შედგენაში და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში, ეტაპობრივად ამოწმებს თემაზე მუშაობის პროცესს, გამოთქვამს შენიშვნებს და კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში ეხმარება ავტორს მათ კორექტირებაში;
2.8 ნაშრომის დასრულების შემდეგ ხელმძღვანელი ამზადებს დასკვნას (ქულის გარეშე), რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ნაშრომის დასათაურება;
- ავტორის ვინაობა;
- ნაშრომის მოკლე მიმოხილვა;
- ნაშრომის ზოგადი შეფასება;
- ავტორის უნარ-თვისებების ხარისხის შეფასება;
- დასკვნა, ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვება-არდაშვების შესახებ.

3. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა, დაცვა და შეფასების კრიტერიუმები

3.1 სამაგისტრო ნაშრომის წარდგენამდე მაგისტრანტს გავლილი უნდა ჰქონდეს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კომპონენტები და დაგროვილი უნდა ჰქონდეს შესაბამისი კრედიტები, არ უნდა ერიცხებოდეს ფინანსური დავალიანება;
3.2 სამაგისტრო ნაშრომის დაცვა უნდა ჩატარდეს საჯაროდ, შესაბამისი დარგის სპეციალისტებისაგან შემდგარი დაცვის კომისიის წინაშე, რომელიც იქმნება უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტის საფუძველზე;
3.2 სამაგისტრო ნაშრომის დასაცავად წარდგენის წინაპირობაა ხელმძღვანელისა და რეცენზენტის დადებითი დასკვნები ნაშრომის დაცვისთვის მზაობის შესახებ;
3.3 მაგისტრანტი დასრულებულ ნაშრომს, ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნით, წარადგენს შესაბამისი მიმართულების ხელმძღვანელთან;
3.4 მიმართულების ხელმძღვანელი, ნაშრომის მიღებიდან 2 კვირის ვადაში, აკეთებს დასკვნას ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. დადებითი დასკვნის შემთხვევაში ამზადებს რეკომენდაციას დაცვის (საკვალიფიკაციო) კომისიის შექმნის შესახებ;
3.5 დაცვის კომისია იქმნება ყოველი დაცვისათვის და შედგება – ნაშრომის ხელმძღვანელის, რეცენზენტის, მაგისტრატურის კოორდინატორისა და თემის სპეციფიკის მცოდნე სულ მცირე ორი წევრისაგან;

3.6 რეცენზენტი შეიძლება იყოს მოცემულ დარგში სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან პრაქტიკოსი;
3.7 მაგისტრანტი, რეცენზენტის დადებითი დასკვნის საფუძველზე, საჯარო დაცვამდე სულ მცირე ორი კვირით ადრე, მაგისტრატურის კოორდინატორთან წარადგენს საბოლოოდ დასრულებულ ნაბეჭდ, აკინძულ სამაგისტრო ნაშრომს, ელექტრონულ ვერსიასთან (CD), ხელმღვანელების და რეცენზენტის დადებით დასკვნებთან ერთად;
3.8. საჯარო დაცვამდე, კოორდინატორი დაცვის კომისიის წევრებს უგზავნის ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას;
3.9. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით); შეფასების მაქსიმალუირი ქულაა 100, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 51 ქულა.
შეფასების სისტემა უშვებს:
ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

3.9. ,,ბ“ ქვეპუნქტის პუნქტის პირველი ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო ,,ბ“ ქვეპუნქტის მეორე ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

საკვალიფიკაციო კომისია სამაგისტრო ნაშრომს და მის პრეზენტაციას შეაფასებს შემდეგი სქემის მიხედვით:

კომპონენტი	**მაქსიმალური ქულა**
სამაგისტრო ნაშრომის აქტუალურობა და მეცნიერული სიახლე, მიზნები და ამოცანები 10-9 - სამაგისტრო ნაშრომი ინოვაციურია/აქტუალურია და პრობლემა სრულყოფილად არის ფორმულირებული; მიზნები და ამოცანები მკაფიოდ და სწორედ არის დასახული	10

*აღნიშნული მონაცემი განკუთვნილია ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამისთვის

8-5 - სამაგისტრო ნაშრომი მეტ-ნაკლებად აქტუალურ საკითხებს ეხება და მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს, მაგრამ, არის ხარვეზები; მიზნები და ამოცანები სწორედ არის დასახული 4-1 - სამაგისტრო ნაშრომი არ ეხება აქტუალურ საკითხებს და არც მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს, მაგრამ, მაგისტრანტს აქვს ნაშრომი მინიმალური მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად; მიზნები და ამოცანები გამიჯნული არ არის 0 - სამაგისტრო ნაშრომის აქტუალობა, მიზნები და ამოცანები არ არის წარმოდგენილი	
კვლევის მეთოდოლოგია 10-8 - კვლევის მეთოდოლოგია ნათელია, ლოგიკურად და ამომწურავად არის გაშუქებული 7-5 - კვლევის მეთოდოლოგია გასაგებია, ლოგიკურად არის გაშუქებული, ჩნდება გარკვეული შეკითხვები 4-1 - კვლევის მეთოდოლოგია არასრულყოფილია, გაუგებარია და ჩნდება ბევრი შეკითხვა 0- კვლევის მეთოდოლოგია არ შეესაბამება საკითხს/ არ არის წარმოდგენილი	10
შერჩეული სამეცნიერო ლიტერატურა და შესაბამისი ბიბლიოგრაფიული სია 5 - ფართოდ გამოყენებულია უახლესი და სანდო ადგილობრივი თუ უცხოური წყაროები; ტექსტში გამოყენებული მითითებები შეესაბამება გამოყენებული ლიტერატურის წყაროებს 4-3 - გამოყენებულია სანდო და ახალი სამეცნიერო წყაროები, მაგრამ ლიტერატურის ნუსხა სრულყოფილად ვერ ფარავს თემასთან დაკავშირებულ პრობლემებს 2-1 - გამოყენებული სამეცნიერო წყაროები მწირია, მოკლებულია სანდოობას და სიახლეს 0 - არ შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომს/სამეცნიერო ლიტერატურა და ბიბლიოგრაფიული სია არ არის წარმოდგენილი	5
საკვლევი საკითხის გარშემო არსებული მასალების შესწავლის სიღრმისეულობა, თანამიმდევრული მეცნიერული მსჯელობა, არგუმენტირება; ანალიზისა და სინთეზის უნარი 20-17 - საკვლევი პრობლემის გარშემო სრულყოფილად ფლობს სამეცნიერო სიახლეებს, აკეთებს ლიტერატურის საფუძვლიან მიმოხილვას; მეცნიერული მსჯელობა და არგუმენტები თანმიმდევრული და დასაბუთებულია; ჩანს ანალიზისა და სინთეზის კარგი უნარი 16-11 – საკვლევი პრობლემის გარშემო ფლობს სამეცნიერო სიახლეებს, აკეთებს ლიტერატურის მიმოხილვას; მეცნიერული	20

მსჯელობა და არგუმენტები თანმიმდევრულია; ჩანს ანალიზისა და სინთეზის უნარი 10-5 – საკვლევი პრობლემის გარშემო ფლობს გარკვეულ სამეცნიერო სიახლეებს, აკეთებს ლიტერატურის ზედაპირულ მიმოხილვას; მეცნიერული მსჯელობა და არგუმენტები მოკლებულია თანმიმდევრობას 4-1 – საკვლევი პრობლემის გარშემო აკეთებს ლიტერატურის ზედაპირულ მიმოხილვას; მეცნიერული მსჯელობა და არგუმენტები არ არის თანმიმდევრული 0 - საკვლევი პრობლემის გარშემო არსებული ინფორმაცია არ არის გამოტანილი	
ნაშრომის ტექნიკური გაფორმება, სტილისტური და ენობრივი გამართულობა 5-4 - სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს 3-1 - ნაწილობრივ აკმაყოფილებს მოთხოვნებს 0 - არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს	5
ნაშრომის თვალსაჩინოებების, სქემების, დიაგრამების, ვიზუალური მასალის არსებობა 10-7 - წარმოდგენილია მრავალფეროვანი თვალსაჩინო მასალა 6-4 - წარმოდგენილია გარკვეული რაოდენობის თვალსაჩინო მასალა, ნაწილი რომლისაც არ არის რელევანტური 3-1 - წარმოდგენილი თვალსაჩინო მასალა მწირია 0 - თვალსაჩინო მასალა არ არის წარმოდგენილი/არ შეესაბამება თემატიკას	10
დასკვნის /მოსალოდნელი შედეგების სრულყოფილება 10-9 დასკვნა/მოსალოდნელი შედეგები სრულყოფილად და ლოგიკურად არის ჩამოყალიბებული 8-7 დასკვნა/მოსალოდნელი შედეგები კარგად და ლოგიკურად არის ჩამოყალიბებული, თუმცა შეიცავს ხარვეზებს 6-4 დასკვნა/მოსალოდნელი შედეგები ჩამოყალიბებულია, თუმცა არის შეცდომები 3-1 დასკვნა/მოსალოდნელი შედეგები ჩამოყალიბებულია ზედაპირულად და არის შეცდომები 0 - დასკვნა/მოსალოდნელი შედეგები არ არის ჩამოყალიბებული	10
კითხვებზე პასუხების დასაბუთებულობა 20- 19 - ყველა შეკითხვაზე იძლევა სწორ და ამომწურავ პასუხს, ავლენს ცოდნის და სიღრმისეული ანალიზის კარგ უნარს 18-15 - უმრავლეს შეკითხვაზე იძლევა სწორ და ამომწურავ პასუხს 14-11- შეკითხვების გარკვეულ ნაწილზე არ აქვს სწორი პასუხი, დანარჩენზე იძლევა სწორ და ამომწურავ პასუხს 10-6 - შეკითხვების გარკვეულ ნაწილზე არ აქვს პასუხი	20

*აღნიშნული მონაცემი განკუთვნილია ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამისთვის

5 -1 შეკითხვების უმეტეს ნაწილს ვერ გასცა სწორი პასუხი 0 - მაგისტრანტმა საერთოდ ვერ უპასუხა შეკითხვებს	
პრეზენტაბელურობა 10-9 -საინტერესოდ, გასაგებად და დამაჯერებლად გადმოსცემს საკითხს, იცავს დროის რეგლამენტს, კარგად არის აგებული პრეზენტაციის სლაიდები 8-7 – გასაგებად გადმოსცემს საკითხს, იცავს დროის რეგლამენტს, გარგად არის აგებული პრეზენტაციის სლაიდები 6-4 - გასაგებად გადმოსცემს საკითხს, დარღვეული აქვს დროის რეგლამენტი, პრეზენტაციის სლაიდები დაუხვეწავი და ცუდათ აღქმადია 3–1 - პრეზენტაბელურობა ცუდია, მაგრამ მაგისტრანტი აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს 0 - ვერ აკეთებს მოხსენებას	10
სულ:	**100**

4. მაგისტრის ხარისხის მინიჭება

4.1 მაგისტრანტებს, რომლებმაც შეასრულეს სამაგისტრო მომზადების ინდივიდუალური გეგმა და წარმატებით დაიცვეს საკვალიფიკაციო ნაშრომი, ენიჭებათ მაგისტრის (სპეციალობის მიხედვით) აკადემიური ხარისხი და მათზე გაიცემა სათანადო დიპლომი.

4.2 სამაგისტრო ნაშრომების დაცვის შეფასებისა და მაგისტრანტის ხარისხის მინიჭების გადაწყვეტილების შემდეგ ხდება შესაბამისი ოქმის გაფორმება.

სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ეტაპები

	სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის ეტაპები	**ESTC**	**სულ საათები**
1	არჩეული თემის ირგვლივ ლიტერატურის მოძიება	35/15*	1050/450*
2	მოძიებული მასალების ზუსტი ბიბლიოგრაფიის შედგენა		
3	კვლევის მიზნების და ამოცანების გამოყოფა, ობიექტის განსაზღვრა		
4	კვლევის შედეგების დამუშავება		
5	კვლევის შედეგების შესაბამისად საბოლოო დასკვნების ჩამოყალიბება, მათი სანდოობის ანალიზი		
6	სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება		
7	პრეზენტაციის მომზადება		
8	სამაგისტრო ნაშრომის დაცვა კომისიის სხდომაზე		

დანართი 1

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

---------- სკოლა/ფაკულტეტი

გვარი, სახელი

სამაგისტრო ნაშრომი

თემაზე: ----------

(ქართულ და ინგლისურ ენაზე)

წარმოდგენილია ---------- მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
(გვარი, სახელი, აკადემიური ან სამეცნიერო ხარისხი)

თბილისი 20..

*აღნიშნული მონაცემი განკუთვნილია ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამისთვის